ჩემპიონატი

„დინამო“ – „ლოკომოტივი“

3 ივნისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ **თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“** გუნდები.

ტაიმის პირველსავე წუთებიდან დინამოელებმა შესძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტების შექმნა მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ დამცველმა ჯოჯუამ და მეკარე შუდრამ იხსნეს თავიანთი გუნდის კარი.

მე–15 წუთიდან ინიციატივა გადადის ლოკომოტიველთა მხარეზე. განსაკუთრებით ენერგიულად იბრძვიან ნახევარ დამცველები – ღვინიაშვილი და ჩერედიჩენკო. 36-ე წუთზე ლოლაძე მარცხენა ფრთიდან უსხლტება დამცველებს და აწვდის ბურთს ლობჟანიძეს, რომელსაც ძლიერი გარტყმით გააქვს დინამოელთა კარში.

მეორე ტაიმის დასაწყისში თავური გარტყმით ჯეჯელავა ათანაბრებს ანგარიშს. ამის შემდეგ დინამოელები თითქმის არ მოსცილებიან „ლოკომოტივის“ საჯარიმო მოედანს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ანგარიშის გადიდება. მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1. თბილისის „ლოკომოტივმა“ ამ შეხვედრაში გამოამჟღავნა კოლექტიური, ზუსტი და ტემპიანი თამაში. დინამოელებიდან განსაკუთრებით სუსტად თამაშობდნენ ნახევარშუამარბები – ბერეჟნოი და პანიუკოვი, რომლებმაც ვერ შესძლეს მჭიდრო კავშირის დამყარება ვერც გარემარბებთან და ვერც შუამარბთან.

ვ. გ–ლია.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 4 ივნისი, 1940 წ.